

# ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ოზურგეთის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა – ლოცვა აღევლინა



ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ოზურგეთის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა **მეუფე იოსებმა** საზეიმო წირვა – ლოცვა აღავლინა. სადღესასწაულო ლიტურგიას გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** მოადგილესთან **ზაზა შოშიტაიშვილთან,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან **გიორგი ღურ-ჯუმელიძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან** ერთად დაესწრო.


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 1 (10487) 13 იანვარი, 2025 წ. ფასი 1 ლარი.




განსაკუთრებულად გამორჩეულ დღესასწაულს, ბრჭყვიალას, ნათელი ფერებით რომ შემოდის და უსაზღვრო სიხარულს ანიჭებეს ჩვენს პატარებს, ასეთია შობა-ახალი წელი, რომლის შემობრძანებასაც გილოცავთ ყველას, ყველა თაობას, განსაკუთრებით კი ჩვენს პატარა აღსაზრდელებს და მათ აღმზრდელებს.

ბედნიერების მომტანი წელიწადი ყოფილიყოს – 2025

**მაკა ჭყონია,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი



მრავალჟამიერ ახალსა წელსა! სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველო გილოცავთ ახალ წელს საუკეთესო სურვილებით.

მშიდობა და კეთილდღეობა ჩვენს სამშობლოს!

**მანანა ერქომაიშვილი,**

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი.

# ოზურგეთში ტრადიციული საშობაო „ალილო“ გაიმართა

შობის დღესასწაულზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტრადიციული საშობაო „ალილო“ გაიმართა.

მსვლელობას გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები **ქეთევან მოისწრაფეშვილი** და **ზაზა შოშიტაიშვილი,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან შეუერთდნენ და სასულიერო პირებს საშობაო საჩუქრები გადასცეს.

„ ალილოზე“ შეგროვებული შესაწირი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცა.



# საზოგადოებრივი მაუწყებელი განცხადებას ავრცელებს

*საზოგადოებრივი მაუწყებელი შეშფოთებას გამოთქვამს ქვეყანაში არსებული დაძაბული ვითარების ფონზე სხვადასხვა მხარის მიერ პირველი არხის მიმართ სისტემატური ხასიათის თავდასხმების, სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევისა და დამოუკიდებელ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მცდელობის გამო, – ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადებაშია აღნიშნული.*

*„საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის საქმიანობას ახორციელებს კანონით დადგენილი შინაარსობ-რივი ვალდებულებების შესაბამი-სად და ემსახურება მთელ საზოგადოებას, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების სრული დაცვით, ობიექტურად, გამჭვირვალობის, სამართ-ლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების გათვალისწინებით, რაც დაადასტურა ეუთო/ოდირის დასკვნამაც. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ განსაკუთრებულ აგრესიას ავლენს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არხის დისკრედიტაციის მიზნით მიზანმიმართულად ავრცელებს დეზინფორმაციას, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან სივრცეში, როგორიც მაგალითად, ევროპარლამენტია. აღარაფერს ვამბობთ მისი მხრიდან არხის მიმართ განხორციელებულ მუქარაზე და მოწოდებაზე არხის დასჯის შესახებ, რაც მედიასთან ურთი-ერთობის ყოველგვარ სტანდარტს მიღმა დგას.*

*პოლიტიკოსებისგან მსგავსი ტიპის თავდასხმები ახალისებს და აქეზებს გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფებს და კერძო პირებს, ლეგიტიმურად მიიჩნიონ მედიის საქმიანობაში ჩარევა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალის-ტებისა და თანამშრომლების შეურაცხყ-*


▶▶▶ გვ–6


# ოზურგეთელი იური ლომაძე საქართველოს ჩემპიონია



ქ. ბათუმში მიმდინარე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოზურგეთელი **იური ლომაძე** საქართველოს ჩემპიონი გახდა. 72კგ წონითი კატეგორიის ფინალში მან სენაკელი გიორგი ჩხიკვაძე დაამარცხა.

მწვრთნელები ძმები ზურაბიანები.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 80 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 3,20 ლარი,**
**სამი თვით – 9,60 ლარი,**
**6 თვით –16 ლარი,**
**ერთი წლით – 32 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

**nugzarasatiani15@gmail.com**

**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

## ტრადიციული ალილო ლანჩხუთში



შობის დღესასწაულთან დაკავშირებით ტრადიციული ალილო მოეწყო ლანჩხუთში.

ალილოს მონაწილეებმა მსვლელობა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძრიდან დაიწყეს.

შობის დღესასწაული მეალილოეებს მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილეებთან და საკრებულოს დეპუტატებთან ერთად მიულოცა.

შეგროვილი ნობათი სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გადაეცემა.

– *ყველას ვულოცავ ქრისტეშობას. -ურთიერთპატივისცემას, სიყვარულს, მშვიდობას, სიხარულს, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას გისურვებთ. მრავალს დაესწარით!* - აღნიშნა ლანჩხუთის მერმა.

## მეხანძრე მაშველებს, პოლიციის, „მედალფას“, „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“, 112-ის თანამშრომლებს ახალი წლის შემობრძანება მიულოცეს



ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილეებთან ერთად მეხანძრე-მაშველებს, პოლიციის, ,,მედალფას", ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის", 112-ის თანამშრომლებს მიულოცა ახალი წლის შემობრძანება.

– *თქვენ ჩვენი უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგახართ. მადლობას გიხდით, მშვიდობას, დღეგრძელობას და კეთილდღეობას გისურვებთ* – აღნიშნა ლანჩხუთის მერმა.

## ნათია გოლიაძემ „მედალფას“ ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში ახალ წელს დაბადებული ახალშობილები მოინახულა



ოზურგეთის მერის მოადგილემ, **ნათია გოლიაძემ**, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების განყოფილების უფროსთან, **ლელა სარიშვილთან** ერთად, კლინიკა ,,მედალფა“-ში პირველი ახალშობილები მოინახულა და საახალწლო საჩუქრები გადასცა.

– *,,31 დეკემბერს და 2 იანვარს დაბადებული პირველი მოქალაქეები - ნუცა ანთაძე, ნია მაჭარაშვილი, ნიტა ლომთათიძე მოვინახულეთ და ახალშობილთა ოჯახებს ტკბილეული და ფულადი ვაუჩერები გადავეცით.*

*ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ პატარებს!’* - აღნიშნა, მერის მოადგილემ.

## ახალი წელი მიულოცეს

გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ,** საქართველოს პარლამენტში გურიის დელეგატის **ვასილ ჩიგოგიძის** ჩოხატაურის ბიუროს წარმომადგენელთან, **სოფო ჯინჭარაძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯუმბერ ბერძენიშვილთან** ერთად დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის; საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლებსა და ჩოხატაუ-რის დამსახურებულ ექიმს, შპს ,,ჯანმრ-თელობის სახლი გურიაში“ კლინიკის სამედიცინო დირექტორს, თერაპევტსა და კარდიოლოგს, ექიმ თეიმურაზ კოროშინაძეს.



## სალოტბარო სკოლის „ალილო“ სოფელ მაკვანეთში

სოფელ მაკვანეთში ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით შობასთან დაკავშირებული ტრადიციული მსვლელობა – ,,ალილო“ გაიმართა.

სალოტბარო სკოლის მოსწავლეების მსვლელობა სოფელში შუადღეზე დაიწყო, ბაღისუბნიდან სოფლის ცენტრის მიმართულებით არ წყდებოდა ,,ალილოს“ სიმღერა და მხიარული შეძახილები. სოფლის მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ,,ალილოს“ და უხვი ნობათიც გაიღეს.

გზად მეალილოეებმა ლოტბარ **ტრისტან სიხარულიძეს** შეუარეს, მასთან ერთად შეასრულეს სიმღერა და გზა განაგრძეს. მსვლელობას სოფლის მცხოვრებლებიც შეუერთდნენ.

სოფლის ცენტრში ,,ალილოს“ მსვლელობა დასრულდა,პატარებმა რამდენიმე სიმღერა იქაც შეასრულეს.

მაკვანეთის ალილოზე შეგროვილი ნობათი ოზურგეთის სალოტბარო სკოლის სახელით სოფელში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გადაეცა.



## „შობის ღამის ზღაპარი“ ჩოხატაურში



ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩოხატაურში კულტურის ცენტრთან არსებული საბავშვო სტუდია ,,მომავლის ბავშვების“ საშობაო წარმოდგენა ,,შო-ბის ღამის ზღაპარი“ გაიმართა.

ხელოვნების სასახლე ორი დღის განმავლობაში მასპინძლობდა სტუმრებს.

პატარებს თოვლის ბაბუისგან საახალწლო საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიებას მოწვეული სტუმრები და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.


**„ენერგო პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ შობა-კალანდას!**



# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, **ილია მეორის** საშობაო ეპისტოლე:

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

*„სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან“* (რომაელთა 8,2)

ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო, ქრისტე იშვა!

ჭეშმარიტად იშვა სიტყვა ღვთისა, – უფალი ჩვენი იესო ქრისტე, – *„ვის მიერადაც ყოველი შეიქმნა, და არაფერი შექმნილა მის გარეშე, რაც კი შექმნილა!“* (იოანე 1.3) *„გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს ყოველი ერი, რამეთუ დღეს დავითის ქალაქში დაიბადა მაცხოვარი“* (ლუკა II, 10-11).

ყველა პრობლემას უკვე ჩვენ ამ სიხარულით ვფარავთ, ამით ვძლევთ ჩვენს სისუსტეებსა და განსაცდელს, ამით ვძლევთ უსამართლობას, მწუხარებასა და ტკივილს.

მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი და დიადი, როცა თვით ღმერთი შემოდის ჩვენს ცხოვრებასა და ისტორიაში, რათა ჩვენი არსებობის მთავარი მიზნის განხორციელებაში დაგვეხმაროს.

მაგრამ როგორ შევხვდებით მას, ვითარცა ძენი და ასულნი ღვთისანი, ვითარცა თვისნი მისნი თუ როგორც მხოლოდ შორეულნი, უცხონი ან თითქმის მისგან განდგომილნი?

* * *

ჩვენ უფლის განგებულების განსაკუთრებული გამოვლინებანი ვართ.

გასაოცარია ყველაფერი, რაც ჩვენს პირველმშობლებამდე შეიქმნა, – უმცირესი ნაწილაკები იქნება ეს, მცენარეები, ფრინველები, ცხოველები, ზღვის ბინადარნი თუ ციური სხეულები ისინი დიდი მრავალფეროვნებით, დიდი უნარებით, დიდი თავისებურებებით გამოირჩევიან, მაგრამ მათი მოქმედებები და შესაძლებლობები იყო და არის შეზღუდული.

მხოლოდ ადამიანი მოიცავს ფიზიკურსა და სულიერს, მიკრო და მაკრო სამყაროს, და ძალუძს შეიყვაროს იგი, როგორც თავისი ნაწილი ამქვეყნადაც და მარადიისობაშიც.

მხოლოდ ადამიანია ღვთის ხატებად და მსგავსებად შექმნილი, გონიერი, მეტყველი, სიკეთით, თავისუფალი ნებითა და ღვთაებრივი სიყვარულის უნარით დაჯილდოებული არსება; მოწოდებული, შეიცნოს ჭეშმარიტება და ემსახუროს მას.

ღმერთმა იგი იმიტომ დაჰბადა, რომ თავის მარადიულ სიკეთეთა თანაზიარად გაეხადა და ის ნეტარებები განეცადა, რაც უფალს აქვს. ადამიანი ხილული სამყაროს მეფე უნდა ყოფილიყო და, ღმერთს მიმსგავსებულს, სიბრძნითა და სიყვარულით განეგო იგი.

ჩვენს პირველმშობლებს მთელი თავისი ნებელობა უფლისკენ ჰქონდათ მიმართული და სრულად ღვთისას იზრახავდნენ. ამასთან, მათი სული სულ უფრო მეტად განიმტკიცებდა საღვთო ბუნების თვისებებს – სათნოებებს და ხარობდა ამით.

როგორც ცნობილია, შემდგომ ბოროტმა ძალამ მოატყუა ისინი, როცა უთხრა: შემოქმედი იმიტომ გიკრძალავთ ხე-ცნობადისას ნაყოფის ჭამას, რომ მისებრ ღმერთი არ გახდეთო.

სინამდვილეში კი ჩვენი განღმრთობა სწორედ უფლის ჩანაფიქრი იყო, მაგრამ ამისთვის ადამი და ევა თანდათან უნდა მომზადებულიყვნენ და უფლის მორჩილებით ასულიყვნენ სრულყოფის კიბეზე. ისინი კი, ჯერ კიდევ სულიერად მოუმწიფებელნი, შეეცადნენ, გატოლებოდნენ მას, ვინც დაჰბადა ისინი და ყველაფერი უშურველად მისცა; თანაც ამის მიღწევა მათ ღმერთისგან განდგომით მოინდომეს და მისი ნების წინააღმდეგ წავიდნენ. ვერ დააფასეს უფლისგან ბოძებული, თვით ანგელოზებზე აღმატებული პატივი, უხილავი ღმერთის თანაშემწეობაზე უარი თქვეს და მოინდომეს ღმერთად გახდომა.

ცოდვამ აამღვრია და დაასნებოვნა ადამის და ევას შინაგანი სამყარო, რასაც თავისთავად მოჰყვა შესაბამისი შედეგი: სიცოცხლის ნაცვლად მიიღეს სიკვდილი; ნეტარების ნაცვლად – ტანჯვა და მწუხარება, ძლიერების ნაცვლად – უძლურება და ერთბაშად დაკარგეს თვითმფლობელობაც და საღვთო ხელმწიფებაც; მათი მორჩილი სტიქიონებიც და ცოცხალი არსებებიც მტრად გაუხდნენ და მარტონი დარჩნენ გარემო სივრცის პირისპირ.

ეს უმძიმესი ცვლილება კი მოხდა იმიტომ, რომ მათი გული ღმერთს განეშორა და შემოქმედის ადგილი ეგოისტურმა „მე“-მ დაიკავა.

ამპარტავნება და ეგოიზმი არის უფლისგან განდგომილი ადამიანის მკვეთრი მახასიათებელი. დაცემის შემდეგ ჩვენს პირველმშობლებში თავდაპირველად სწორედ ეს მიდრეკილებები გაჩნდა და მათი პირადი ურთიერთობებიც მყისიერად დაამახინჯა – ერთმანეთზე და გარემოზე ზრუნვა, ღმერთზე მინდობა საკუთარ თავზე მინდობამ და ეგოცენტრიზმა შეცვალა.

ბოროტი ძალისგან თავს მოხვეული ეს მანკიერება დღემდე ჩვენს მთავარ პრობლემას წარმოადგენს და ამიტომაც არის, რომ, როგორც ერთი ღვთისმეტყველი ამბობს, ჩვენს ცხოვრებაში სიტყვა „მე“ განსაკუთრებულად დომინირებს.

ეგოისტის ბუნება ისეთია, რომ იგი შეჰხარის თავის თავს, მოსწონს თავის თავში არსებული ნიჭები, რასაც საკუთარ დამსახურებად მიიჩნევს და გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ყველგან და ყოველთვის ცდილობს საკუთარი თავის წარმოჩენას, ღმერთი კი დავიწყებული ჰყავს, ან მექანიკურად ახსენებს მის სახელს.

ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ თუ რაიმე ნიჭი და უნარი გვაქვს, უფლის მიერაა ბოძებული, ჩვენია მხოლოდ პირადი ნება, რომელიც სწორად უნდა წარვმართოთ. ამასთან, ჩვენი მოწოდებაა, ვიყოთ მოყვასის მსახურნი უფლისკენ სვლაში. იესო ქრისტეც მსახურებისთვის მოვიდა ამქვეყნად და ჩვენც ეს მისია დაგვაკისრა. ასე რომ, ნებისმიერი სხვა ადამიანისადმი ჩვენი ერთგულება, სიყვარული და თავდადება არის ჩვენი გადამრჩენელი, ღმერთამდე ჩვენი მიმყვანებელი.

ამიტომაც, სხვა მცნებებთან ერთად, უნდა აღვასრულოთ ერთ-ერთი ყველაზე უპირატესი სწავლება უფლისა: *„შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი“* და უმეტესი ამისა, ახალი მცნება ახალი აღთქმისა, რომელიც მაცხოვრისაგან ასეთი სახით მოგვეცა: *„ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“* (იოანე 13.34).

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენი პირადი უდიდესი სასწაულის აღსრულებას, – გულიდან ეგოიზმის გაძევებას და მასში უფლის დავანებას, მხოლოდ ამ საშუალებით მოვიპოვებთ ზეცის მოქალაქეობას.

*„მე ვარ კარი, ჩემს მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს“* (იოანე 10,9) – გვასწავლის იესო ქრისტე.

* * *

დაცემული ადამიანის თვისებაა სიკვდილის შიშიც. ამიტომაც ეძებდა და კვლავაც ეძებს იგი სიცოცხლის გახანგრძლივების გზებს, იგონებს სხვადასხვა მეთოდს, რომ შეიქმნას კეთილდღეობის ილუზია, მაგრამ ამაოდ.

ეს ყოველივე უფრო დიდი შეცდომების მიზეზი ხდება და აღრმავებს ჩვენში ისედაც არსებულ სულიერ კრიზისს.

ასეთი პიროვნება ვერ აცნობიერებს, რომ სიკვდილის შიში სინამდვილეში ცოდვებიდან მომდინარეობს, რომ ცოდვას დამონებული სული გაუცნობიერებლად უფრთხის ღმერთთან შეხვედრას და ამიტომაც ძრწის; მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მანკიერებებს განეშოროს და სული განიწმინდოს, ხშირად ნიჰილიზმში ვარდება და ათეიზმს აფარებს თავს (თუმცა ურწმუნოების მიზეზი სხვაც არაერთია).

ასეთი ადამიანებისთვის ცხოვრება პერიოდია დაბადებიდან სიკვდილამდე და სიკვდილთან ერთად მათთვის მთავრდება ყველაფერი. ამიტომაც მიაჩნიათ, რომ ბოროტება, სიკეთე, ფარისევლობა, ერთგულება, შური, სიყვარული, უზნეობა ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობებია და რაიმე პასუხისმგებლობას არც კონკრეტული პიროვნების და არც ღვთის წინაშე არ გრძობენ, რადგან არ სწამთ იმქვეყნიური ცხოვრების, არ სწამთ მარადიული ფასეულობების.

* * *

დღეს ქრისტე იშვება დედამიწაზე, საოცარი თავმდაბლობითა და უბრალოებით, და მოაქვს სიცოცხლის ნათელი მათთვის, ვისაც სწამს, რომ ღვთის ხატადაა შექმნილი და ესწრაფვის ცხონებას.

ჩვენ ვსაუბრობთ იმ რწმენაზე, რომელიც, ადამიდან მოყოლებული, გადაეცემოდა თაობიდან თაობას პირველ მამათა, მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა, მართალთა მიერ და გვასწავლიდა, რომ არ ვართ შემთხვევითი არსებები, რომ არ ვართ სიკვდილისთვის გაჩენილნი, არამედ მარადიული ნეტარებისა და ღმერთთან მყოფობისათვის მოწოდებულნი.

უფალს ელოდა სიწმინდით, სიმართლით და სიყვარულით მცხოვრები ჭეშმარიტი სიბრძნისა და სიმართლის მაძიებელი ყოველი ადამიანი. იგი იყო *„მოლოდება წარმართთაც“* (დაბადება: 49. 10).

წარმართთა შორის ღრმად მოაზროვნენი გრძნობდნენ სულიერ შიმშილს, მათ არ აკმაყოფილებდათ ადამიანთა მიერ შეთხზული გადმოცემები სხვადასხვა „ღმერთზე“, გრძნობდნენ მათ სიყალბეს და ელოდნენ ჭეშმარიტს, ნამდვილსა და აღმატებულს.

ასე იყო საქართველოშიც. ქრისტიანობის შემოსვლისთანავე ქართველთა უმრავლესობამ უარყო წარმართობა და სიხარულით მიეგება ზეციდან უწყებულ სახარებას. ეს იყო ქართველთა ცივილიზაციური მტკიცე არჩევანი, რომელიც ეროვნული ცნობიერების ნიშან-სვეტად იქცა.

ქრისტე მოგვევლინა ჩვენი სხეულით, ჩვენი ბუნებით და გახდა ჩვენი ცხოვრების მტვირთველი (გარდა ცოდვისა); უჟამო იგი ჟამიერ იქმნა, უხორცო – ხორციელი, უკვდავი – მოკვდავი, რათა მსგავსებით მსგავსი გადაერჩინა და თითოეული ჩვენგანისათვის ეთქვა: მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი ხატება არ არის შენში ბოლომდე წარხოცილი; ჩემი შესაძლებლობები შენი შესაძლებლობებიცაა და შენთან ერთად მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო შენს ფერისცვალებაში, შენს გადარჩენაში.

მას ჩვენს რეალობაში შემოაქვს სამოთხის კანონები, – მცნებები, ზეცის მოქალაქეთა თვისებები, რათა გავაცნობიეროთ ცოდვა ჩვენს ყოფაში და სინანულით აღვხოცოთ იგი, ამით განვაქარვოთ ჩვენი სიკვდილი და გარდაცვალება მარადიული ნეტარმყოფობის საწყისად ვაქციოთ.

ჩვენ უნდა ვუკვირდებოდეთ ჩვენს სიტყვასა და საქმეს, სინდისის ხმას, საზოგადოებასთან თანაცხოვრებას, საღვთო წიგნებში განცხადებულ ღვთის სიბრძნეს და ბეთლემს შობილი მაცხოვრის მიერ დაარსებული ეკლესიისა და აქ აღსრულებულ საიდუმლოთა მადლით უფლის აღდგომისა და ამაღლების თანაზიარნი გავხდეთ.

* * *

*„ქრისტიანობა რჩეულთა ხვედრია: თქვენ კი რჩეულთა მოდგმა ხართ, სამეუფო სამღვდელო, წმინდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან თვისი საკვირველი ნათლისკენ გიხმოთ“* (I პეტრე, 2,9).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა შეგვინდოს შეცოდებანნი ჩვენნი და შეგვაძლებინოს, პეტრე მოციქულის ეს სიტყვები ჩვენს ერზე, თითოეულ თქვენგანზე და ჭეშმარიტების გზით მავალ ყველა ადამიანზე გაცხადდეს.

კურთხეულია უფლის შობის დიადი საიდუმლოს მხილველი და აღმქმელი თქვენი სულიერი თვალნი. კურთხეულია ბეთლემის სასწაულის სულიერად განმცდელი თქვენი გული.

კურთხეულია თქვენი სასმენელნი, რომელთაც დღესაც ახარებს ანგელოზთა საგალობლის ხმა: *„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.*

ამ დიდი ძალისა და სიღრმის მქონე ზეციურმა სიტყვებმა, დაე, მოიცვას და ღმერთში გააერთიანოს სრულიად საქართველო, უცხოეთში მყოფი თანამემამულენი და ყოველი კეთილი ნების ადამიანი, რათა მოგვებთან და მწყემსებთან ერთად, გავემართოთ ბეთლემისაკენ, ანთებული სანთლებით მივეახლოთ ყრმა იესოს და კრძალვითა და სიხარულით აღმოვთქვათ: *„კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ ღმერთი ჩემი ხარ შენ, და აღგამაღლო შენ; ღმერთი ჩემი ხარ შენ, აღგიარო შენ; აღგიარო შენ, რამეთუ ისმინე ჩემი და იქმენ ჩემდა მაცხოვარ“* (ფსალმუნნი 117,23,29).

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

**ილია II**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

თბილისი,
შობა ქრისტესი
2024-2025წ.

# შობა-კალანდის რიტუალები გურიაში



**გურულს ყველა დღესასწაულიუყვარს, მაგრამ კალანდას და აღდგომას არაფერი ურჩევნია.**
**აპოლონ წულაძე**

### საშობაო სამზადისი

შობის წინ 4-5 დღით ადრე ქალები კვერცხს მაგრად მოხარშავდნენ. მოხარშულ კვერცხს ჩეჩოზე დააწყობდნენ და ოჯინჯალაზე გამოჰკიდებდნენ, შუა ცეცხლზე კვერცხები ხმებოდა,

იჭვარტლებოდა და ქვასავით მაგარი ხდებოდა, შემდეგ კი მუცლის სალოცავისა და ღვეზელისათვის იყენებდნენ.

*„შობის წინა დღით ბრავაწობა თენდება“*,— გადმოგვცემს

ეთნოგრაფი აპოლონ წულაძე. სიტყვა ბრავაწობა ალექსანდრე

ღლონტის ქართულ-კილოთქმათა სიტყვის კონაში გურული გამოთქმაა და მრავალ წლობას ნიშნავს. ამ დილით ოჯახის უფროსი, რამდენიმე ოყა „ყირიმის"“ თეთრი პურის ფქვილს მოიტანდა დუქნიდან. უმეტესობა კმაყოფილდებოდა შინაური თალხი ფქვილით, რომელიც ზოგიერთებს იმდენი მაინც მოჰყავდათ, რამდენიც საკაიდღეოდ ეყოფოდათ. დედაკაცები დილით შეუდგებოდნენ სახვალიო სამზადისს, პურის ფქვილს მოზელდნენ, რომ „წამოღუებულიყო“ და საღა-მომდე თბილად შეინახავდნენ. სა-სუქიდან ქათმებს გამოიყვანდნენ, საცივს გააკეთებდნენ. დამარილებულ ჩიტებს, ქოთნით შენახულს კი „ჩააბუზბუზებდნენ“.

საღამოს კეცებს გაახურებდნენ და დააცხობდნენ ღვეზელებსა და მუცლის სალოცავ კვერებს.

### მუცლის სალოცავი

მუცლის სალოცავი პატარ-პატარა ყველით გატენილი კვერებია, შუაზე ერთი კვერცხია მოთავსებული. გურულების ღვეზელს ნახევარ მთვარის ფორმა აქვს (რაც ძველი გურულების რწმენით, ციური სხეულების თაყვანისცემას უკავშირდება, მასში ჩატანებული კვერცხი ხვავის, ბარაქის, ოჯახის სიმტკიცისა და გაუტეხელობის სიმბოლო იყო) და მას სათითაოდ აცხობდნენ საუფროსოს და საუმცროსოს. ზოგს 4-5 კვერცხს მიურთავდნენ და ისიც მთელს, ზოგში — 2-3 კვერცხს. გამოაცხობდნენ სასტუმრო და მეალილოეს საჩუქარ ღვეზელს.

საშობაო და საკალანდო სამზადის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე მთარგმნელი გერონტი ქიქოძე ბავშვობის მოგონებებიდან გადმოგვცემს: „ცხოვრებაში დიდი

დასაწყისი „ალიონი“ №21; 2024.

პოეზია შემოჰქონდა ზამთრის დღესასწაულებს; შობას აუცილებლად ღვემლებით უნდა შევხვედროდით, ეს იყო ნამგალა მთვარის მსგავსი ხაჭაპური, რომელსაც ყველის გარდა მაგრად მოხარშული, ბოლში გამოყვანილი, ორად გაჭრილიკვერცხები ჰქონდა ჩატანებული, ასე, რომ მისი ზედაპირი ალაგალაგ ამობურცული იყო. კალანდას აგუნათი და ჩიჩილაკებით ვეგებებოდით.ეს ჩიჩილაკები ახალი წლის წინა დღით ირთვებოდა სუროთი, კურკანტელით, ვაშლით და კამფეტებით და თითქოს წმინდა ბასილის წვერს წარმოადგენდა.“

დილით, ძალიან ადრე, ოჯახის დედაქალი მუცლის სალოცავს თითოეულ შვილს სამ-სამჯერ შემოავლებდა მუცელზე და ლოცვას აღავლენდა: *„ამის მუცლის სატკივარი ალმა ქარს, დალმა წყალს“*. მუცელზე შემოვლებულ კოკრებს ბავშვები მაშინვე ჭამდნენ, სხვისთვის შეთავაზება, თუნდაც ერთი „ფინჩხა“ (ნამცეცი) არ შეიძლებოდა, რადგან ნატეხს მუცლის ტკივილი გადაყვებოდა და სხვისი ავადმყოფობა ვის რად უნდოდა. რაკი მუცლის სალოცავს მთლიანად შეჭამდნენ, ამით მთელი წელი მეორე შობამდე მუცლის ტკივილისგან დაზღვეული იყვნენ.

დილით გაჩაღებული ცეცხლის პირას, ცეცხლისა და ქონის ჭრაქის სინათლეზე ოჯახის წევრები შემოუსხდებოდნენ საოჯახო სუფრას და მიირთმევდნენ მშვენიერ საუზმეს, რომელსაც არც ღვინო აკლდა. ჯერ კიდევ ბნელოდა ისე, რომ ზოგიერთი „ალცარიე“ (ზარმაცი) გათენებამდე ერთ წაძინებასაც მოასწრებდა

### ბუდუა-ნათლულის საშობაო შეხვედრა

შობის დღესასწაულის ერთ-ერთი რიტუალი იყო ბუდუა-ნათლულის მოყვრების საშობაო შეხვედრა.

შობის საღამოს, წირვის დაწყებამდე, ბუდუას (ნათლიას) ნათლულიდან საშობაო ძღვენიც მოუვიდოდა. ეს იყო ფიჭვის ყავარზე დაკრული 30-40 კვერცხიანი „საიასაღო“ (საგანგებო) ღვეზელი, „კურტუმჩაყვითლებული“ ყვერული ფინჩხაურით (მოზრდილი საღვინე დოქი), ჩხავერის ღვინო და ნათლულის ნახელავი წინდა. სამაგიეროდ, მოყვრებს ერთად უნდა ესადილათ, ძღვენის მოსაკითხის გამომგზავნი ნათლიამ უნდა დაპატიჟოს და თან სტუმრებიც მიუპატიჟოს. ნათლია თუ თავადი ან გავლენიანი აზნაური იყო ან ბობოლა „ჩინოვნიკი“, მაშინ 60 კვერცხიან ღვეზელს გამოუცხობდნენ და გარდა კვერცხისა, 10-15 მსუქან შაშვს წინასწარ „მონწალულს“ (მდუღარეში ცოტა ხნით ნამყოფს) ჩაურთავდნენ, რომელიც ღვეზლის ცხობის დროს შეიწვებოდა, ჩხავერის ღვინოსთან ერთად, ასეთ ძღვენს ახლდა სანთლის არაყი. შობის სადილი იყო „ძირდადგმული“, დარბაისლური. სიმღერა, ფიშტოს სროლა, ჩონგურის დაკვრა და ზედ დაღიღინება, ცეკვა — ყველაფერი ეს ჭამის მადას აღძრავდა და მასპინძელი ქალიც წამოსამატს (შემწვარ ჩიტს) და ხაჭაპურს არ ზოგავდა, აურზაური და ჩხუბი წარმოუდგენელი იყო. როგორც სიამტკბილობით დასხდებოდნენ, ასევე მოყვრულად გამოეთხოვებოდნენ ერთმანეთს და გამომშვიდობებისას იტყოდნენ: გაის ამ დროს კიდევ ასე კარგად მყოლოდეს თქვენი თავი, თქვენიანებ და თქვენი კარგად

ყოფნით, უპასუხებდა მასპინძელი. შობის მეორე დღე — „შობის

დედაც“ უქმე იყო, პირის გემო და სიამოვნება იმ დღესაც არ აკლდათ.

### ალილო

ალილო მთელ საქართველოში გავრცელებული, ქართული საწესო სიმღერა იყო. შობის წინა ღამეს შეიკრიბებოდა რამდენიმე კაცი, ჩამოუვლიდა ოჯახს სიმღერით, დღესასწაულს მიულოცავდა. მასპინძელი მომღერლებს სანოვაგით ასაჩუქრებდა, გურიაში მეალილოსათვის სპეციალურ ღვეზელს აცხობდნენ.

ალილოს ტექსტებში „ოცდახუთსა დეკემბერსა“, „ჩიტი ღობესა შემოჯდა“ გამოთქმული იყო ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და ბარაქიანობის სურვილი.

### კალანდა (ახალი წელი)

კალანდის შესახვედრად აუცილებელი იყო შემდეგი რიტუალების შესრულება: ცხემლისჭრა საღამო, გასალოცი გობის მომზადება, ჩიჩილაკის ახდა, გალოცვა, ანუ ფეცხვა, ცეცხლის გალოცვა, ბედობის დღე, აგუნას გადაძახილი, წმინდა ბასილის ლოცვა.

გურიაში ახალ წელს კალანდა ეწოდება და მას თოფების გასროლით ხვდებიან.

გურულები კალანდისთვის მზადებას ადრიანად იწყებდნენ. ბარბარობამდე ორი-სამი დღით ადრე მეოჯახე კაცი მიდის ტყეში, მოჭრის ველური თხილის წნელს, მოიტანს სახლში, მოღობავს ძარას, ანუ სასუქს. ბარბარობა დღე ქათმების პატარა დღეობაა. ამ დღეს მეოჯახე ქალი არჩევს ბებერს, ნაკლებ კვერცხის მდებელს, ცუდ მკეკელს, „ფრთხუს“, უვარგის, მოჭვას, რომელიც სადგამურად არ გამოდგება. აგრეთვე ყვერულს, რომელიც საგანგებოდ საკაიდღეოდ ჰყავდათ გამო-ზრდილი.ბარბარობიდან ერთი კვი-რის შემდეგ განსაკუთრებულ ადგილას, საგანგებო სამწყვდევში ჩასვამდნენ ღორს, ქათმებიც და ღორიც სასუქში უნდა ყოფილიყო, ოჯახის ყველა წევრი ცდილობდა,

დაესწრო და სასუქში მყოფთათვის „კაკალი დაეყარა, წყალიც დაესხა და თან ეთქვა: სუქ, სუქ, სუქ. ღორი პირველ დღეებში პატივს იღებს, ხარბად ჭამს სიმინდის დაყრის დროს როთინით ხვდება, შემდეგ კი, როცა სიმსუქნე სძლევს, საჭმლით გულს იმსუყებს, ზარმაცობა ეპარება, უხალისობა ეტყობა, წვება და ნებივრობას იწყებს" (აპოლონ წულაძე).

ალი წლის კალანდის წინა დღეს ცხემლისჭრა საღამო ეწოდებოდა. ამ დღეს ოჯახის უფროსი მამაკაცი წავიდოდა ტყეში და ცხემლის შეშას დაამზადებდა. უძველესი დროიდან ოჯახში ცეცხლის ჩაქრობა დიდ უბედურებად ითვლებოდა, ცეცხლი, სახლის (სამზადი) შუა ადგილას იყო გაჩაღებული, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ ოჯახის ყველა წევრი შემოსხდომოდაირგვლივ და გამთბარიყვნენ. გურიაში სამზად სახლში დღესაც

ანთია შუა ცეცხლი კერიით, კერია(კერა) წარმოადგენს მოგრძო

ქვას, რომელსაც შეშას დააყრიან, თავებს კერიაზე ჩამოუდებენ, ასეთ შემთხვევაში შეშას ცეცხლი უფრო კარგად ეკიდება. ცეცხლის გაქრობა და კერიის გაციება დიდ უბედურებად ითვლებოდა. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცეცხლის გატანას (გაუქრობლად შენახვა) მტკიცდებოდა შელოცვით, რომელსაც გურიაში მიმართავდნენ, საღამოობით, დაწოლის წინ, ხის მუგუზალს შეახვევდნენ, ნაღვერდალში ცეცხლს დაახვეტდნენ, ცეცხლის შემნახველი შემდეგი სიტყვებით შელოცავდა:

*ცეცხლო ელოდე-მელოდე,*
*მე მელოდე, მზეს ელოდე,*
*მთვარეს ეთაყვანებოდე,*
*დილით ადრე ავდგებოდე,*
*დოჩხაური დამხვდებოდე.*

დოჩხაური ხალხურ ენაზე დიდი ანუ გაღვივებული ცეცხლია.

ცნობილია, რომ ცხემლის შეშას უფრო მაგრად ეკიდება, ვიდრე

თხემლის, ან სხვა მცენარისას, მას ღვთაებრივ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. სასუქში ჩაყრილ ფრინველებს და საახალწლო

ღორს დაკლავდნენ. ცხემლის ჭრა დღის ვახშამს ამზადებდნენ

გასუქებული ქათმის კუჭ-ფილტვისაგან და თავ-ფეხისაგან, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თქმულებაც კი

არსებობდა *„ახალწლის სადილს შეველევი და ცხემლის ჭრის ვახშამს ვერაო“*.

კონსტანტინე გვარამაძის გადმოცემით, კალანდის დადგომამდე ცხემლისჭრა საღამოს, ოჯახის ყველა წევრზე რამდენიმე

ხაჭაპური ცხვებოდა, რომელთა დასახელებები გახლდათ-„საკალანდო“, „დედო ხაჭაპური“ ანუ „საფერხავი“, „საჩიჩილაკე“, „საგუნავი“, „საიმეხშმო“, „სალოცავი“ და „საცხემლისჭრო“.

„საცხემლისჭრო“ ხაჭაპურს ჩიჩილაკის გაწყობის წინ მიირთმევდნენ, „დედო ხაჭაპურებს“, „ნაზარდას“ თავით ერთად საკალანდო გობზე დებდნენ. „საგუნაო“- აგუნაზე გასალოცი იყო, რომლის დღესასწაულიც ასევე ახალი წლის წინა ღამით იყო.

„საჩიჩილაკეს“ ჩიჩილაკის თავზე ჩამოაცვამდნენ.

### ჩიჩილაკის ახდა

საახალწლო გასალოც ელემენტებს შორის ჩიჩილაკს განსაკუთრებული და შეუცვლელი ადგილი ეჭირა. ჩიჩილაკი ნედლი ხის ნაწარმია, რომელზედაც შეთლილია დახუჭუჭებული მერქნის გრძელი ანათალი.

### ჩიჩილაკის მომზადება

ჩიჩილაკის დამზადება ხდებოდა თხილის, წაბლის ან ლეღვის ახლად მოჭრილი ღეროებისაგან, კერძოდ, ღეროებს მოთუთქავდნენ (გაავლედნენ) ნაღვერდალში, გააცლიდნენ კანს და შემდეგ ძირიდან ზევით ათლიდნენ მერქნის თხელ, ერთი მილიმეტრის სისქის, ღეროებს, ეს ღეროები კულულებად უნდა უნდა ყოფილიყო დახვეული. დასადგამად გაუკეთებდნენ სამ ფეხს, წვეროზე კი- ქოჩორს. გურიაში წინათ იშვიათი იყო ოჯახი, სადაც არ იცოდნენ ჩიჩილაკის ახდა. საახალწლო რიტუალის დროს იგი გურიასა და სამეგრელოში აუცილებელი ელემენტი იყო. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ძველი ხალხური გადმოცემით, ჩიჩილაკი მზის გამოსახულებას წარმოადგენს ხოლო მის ქვემოთ დაშვებული კულულები მზის სხივების სიმბოლოებია. დაამთავრებდნენ თუ არა ჩიჩილაკის ახდას და შეუდგებოდნენ მის მორთვას. ჩიჩილაკს რთავდნენ კურკანტელით, სუროს ყლორტებით, საზამთროდ დამზადებული დაჩამიჩებული ყურძნის აკიდოებით, ჩურჩხელებით, ბროწეულით, პატარა ყველიანი პურით და სხვა.

ჩიჩილაკს წარმართობის დროინდელ ბასილას წვერებს ადარებდნენ, ქრისტიანობაში — კი წმინდა ბასილის წვერს. სიცოცხლის ხესაც ეძახდნენ, იმიტომ რომ კერა, სახლი ქართველ კაცს სიცოცხლის სიმბოლოდ, ადამიანის ზეცასთან შემაკავშირებლად ესახებოდა, რასაც, განასახიერებდა ჩიჩილაკი.

ოჯახის უფროსი მამაკაცი წმინდა ბასილს შესთხოვდა, დამდეგი ახალი წელი მისთვის და მისი ოჯახითვის ყოფილიყო ბედნიერი, ყველასათვის მოეტანა ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, ყველა საქმეში წარმატება და სიმდიდრე. სახლში შესვლისას იტყოდნენ: „გადმოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, გფარავდეთ წმინდა ბასილი, იმისი მადლით იყავით პურით და ღვინით ავსილი". თხილის ღეროს ნახვრად ახდილ ბურბუშელებს, წმინდა ბასილის ფაფუკ წვერებს ადარებდნენ და ამით ხაზს უსვამდნენ სწრაფვას წმინდა ბასილისებური სიკეთის, სიუხვის, ღვთისმოსაობისაკენ

**მანანა ლომაძე**
ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი



# ანზორ ერქომაიშვილი – „კალანდა“



იმ პერიოდში, როცა კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებდა, ქალაქში ნაკლებად, სოფელში კი შობას და კალანდას განსაკუთრებულად აღვნიშნავდით.

ჩვენ სოფელ მაკვანეთში ვცხოვრობდით, ოზურგეთიდან ხუთ კილომეტრშია. ერქომაიშვილების გვარი იქიდან მოდის. ჩვენი ოჯახი მგალობელთა ოჯახი გახლდათ. ბაბუაჩემი არტემ ერქომაიშვილი ცნობილი მგალობელი იყო. მთელი ოჯახი ვმარხულობდით. ბავშვებსაც გვაჩვევდნენ. მარხვას კი არ არქმევდნენ, მაგრამ ამბობდნენ, ახლა ხორცი არ გვაქვს, არც ყველიო და სამარხვო საჭმელს შევექცეოდით. ბაბუა არტემს ჰყავდა და, ლისა, რომელიც საოცარი მცოდნე იყო ტრადიციების. მისგან იგებდა მთელი სოფელი, რომელი საეკლესიო დღესასწაული როდის იყო. ოჯახში ახალ წელს მაინცდამაინც არ აღვნიშნავდით. ლისა ბაბუდა იტყოდა ხოლმე: *„მომილოცავს, ნენა, მომილოცავს, მაგრამ სა გაგონილა, ჯერ ახალი წელი იყოს და მერე ქრისტეშობა?..*"მერე კი დასძენდა, ფუ, რას არ მოიგონებენ ეს კომუნისტებიო.

მარხვის შემდეგ ბებია მუცლის სალოცავს აკეთებდა ოჯახის ყველა წევრისთვის. ეს იყო პატარა ღვეზელი ერთი ცალი კვერცხით შუაში. როგორც კი გათენდებოდა შობა, ბებია თავზე შემოგვავლებდა ოჯახის ყველა წევრს სათითაოდ და გვეტყოდა, მაგალითად: „ანზორის თავის ტკივილი, გულის ტკივილი, მუცლის ტკივილი, ფეხის ტკივილი აღმა ქარს, დაბლა - წყალს“, მერე პირჯვარს გადაგვსახავდა. ასე აკეთებდა ოჯახის ყველა წევრთან. შემდეგ მუცლის სალოცავი უნდა გვეჭამა, არავისთვის არ უნდა გაგვეყო, მერე კი ვიგალობებდით „ალილოს“.

შობის წინ მეალილოეები ღამით მოივლიდნენ ხოლმე ოჯახებს. ყაბალახით ჰქონდათ სახე ახვეული, რომ არ ეცნოთ. რატომ არ უნდა ეცნოთ, არ ვიცი... ყველა სოფელს თავისი „ალილოს“ ვარიანტი ჰქონდა, განსხვავებული. ისე ლამაზად მღეროდნენ... იგალობებდნენ ყველა ოჯახში, სადაც მათთვის სპეციალურად იყო მომზადებული კალათა საჩუქრებით, ტკბილეულით, ხაჭაპურებით, ღვეზლით. კალათაში აუცილებლად ვერცხლის ფულიც უნდა ყოფილიყო, უფრო სწორად - ხურდა. ალბათ, ფული რომ ვერცხლის იყო, იმ პერიოდიდან შემორჩა ეს ტრადიცია... საინტერესოა ერთი ფაქტი - რაიმე მიზეზით სახელგატეხილ ოჯახში მეალილოეები არ მიდიოდნენ და ეს დიდი სირცხვილი იყო. მეორე დღეს ყველა იტყოდა, ამა და ამ ოჯახში მეალილოეები არ მისულანო.

ძველით ახალ წელს კალანდობას ვეძახდით. საკალანდოდ დაამწყვდევდნენ ხოლმე ქათმებს, ღორს და ისე აჭმევდნენ, ასუქებდნენ. მერე გამოთქმაც დამკვიდრდა გურიაში - ბიჭო, რავა გასუქებულხარ საკალანდე ღორივითო. კალანდობის რიტუალს ყველა ოჯახი ასრულებდა. გამთენიას ოჯახის უფროსი გაიტანდა დიდ გობს, რომელზეც ელაგა განსაკუთრებული ხორაგი, ტკბილეული, ხაჭაპური... ჭურთან ან მარანში მიიტანდა და ჭარიკაში (ნახევარფუთიან დოქში) ჩაასხამდა ღვინოს. მერე ამ ყველაფერს მოიტანდა სახლის კართან და იტყოდა: „კარი გამიღეთ!“ იქიდან ჰკითხავდნენ: „რა მოგაქვს?“ეს უპასუხებდა: „ოქრო და ვერცხლი აუწონავი, მშვიდობა, ხალხთა ბედნიერება, ჯანმრთელობა, ქორწილები, ლხინი, ხორაგი... კარი გამიღეთ!“ სახლიდან კიდევ გამოსძახებდნენ: „რა მოგაქვს?“ ეს ისევ ჩამოთვლიდა, რაღაცებს მიამატებდა და დასძენდა, კარი გამიღეთო! ასე სამჯერ ჰკითხავდნენ, მერე კი შემოუშვებდნენ. ეს იმპროვიზებული ტექსტი არ იყო, ყველა ოჯახის უფროსმა იცოდა.

რამდენჯერმე მე და ჩემი ბიძაშვილიც ვახლდით ბაბუას ამ რიტუალის შესრულებისას. შემდეგ გაიშლებოდა დიდი სუფრა. საკალანდოდ მოხარშულ ღორის თავს აუცილებლად თამადისკენ ჰქონდა დინგი მიშვერილი და იწყებოდა ლხინი, გადადიოდნენ ოჯახიდან ოჯახში, იყო გაუთავებელი ქეიფი, სიმღერა... საღამოს გადაინაცვლებდნენ მარანში. საწნახელთან დიდი კომბალი იდო, რომელსაც დაარტყამდნენ და იტყოდნენ:

*„აგუნა, აგუნა, გადმეიარეო, ორცხვიში და ორკოპე გადმეიტანეო.*

*ჩვენს მამულში ყურძენიო,*
*მტრის მამულში ფურცელიო..."*

ბოლოს დასძენდნენ: *„აგუნა, აგუნა ვიი..."*

(ორცხვიში და ორკოპე ღვინის ამოსაღები და ჭურის ამოსარეცხია . აგუნა კი ღვინის ღმერთია, წარმართობიდან მოდის — ანზორ ერქომაიშვილი) ... მერე გადადიოდნენ სხვა ოჯახებშიდა ყველგან დაჰკრავდნენ ამ ხის კომბალს. საწნახლებს ბაგაბუგი გაჰქონდა. ჩვენს სოფელში ფეშკინე თოიძე იყო ამის მოთავე და შემსრულებელი. ბავშვებიც დავყვებოდით - გვაინტერესებდა. ბოლოს ერთ ოჯახში მოიყრიდნენ თავს აგუნას შემსრულებლები და დილამდე ქეიფობდნენ.

# მოგზაურის გზა: ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული დღიურები"



გრ. ორბელიანი დიდხანს, მთელი ათეული წელი დუმდა და ვიდრე ილიამ არ გამოიყვანა მოთმინებიდან თავისი „გამოცანებით“, მანამდე მართლაც გამოცანას შეადგენდა მისი დუმილი, თუმცა გულში კი სწუხდა ახალი თაობის ზოგ უკიდურესობაზე:

*„თქვენში ვტრიალებ,*
*თქვენში ვღრიალებ,*
*გულით კი ვსწუხვარ თქვენს უნიჭობას.“*

ილია ლაპარაკობდა თერგდალეულთა, გრიგოლი კი — მათს მოწინააღმდეგეთა სახელით. *„ამას გრძნობდნენ მათი თანამოაზრენიც და თავიანთ მხრივ ზურგს უმაგრებდნენ მეთაურებს.*

*როგორც ჩვენს კრიტიკაში აღინიშნა, ილიას „გამოცანების“ პასუხი გრიგოლმა 1871 წელს დაწერა და მანამდე, როგორც ითქვა, მთელი ათი წელი დუმდა. ესეც არ იყოს, აკი თვითონ ილია აცხადებდა, დღემდე არავინ იცის, რა არის და ვინ არის ახალი ან ძველი თაობა.“*

— რა საინტერესოა? - მეუბნება დედა, რომელიც, როგორც ყოველთვის „ალიონისთვის“ წერილის წერისას, გვერდით მიზის და ნაწერს გულდასმით კითხულობს, სხვათაშორის მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ჩემზე კარგი კორექტორია და ხანდახან, მორიდებას თუ დაივიწყებს, რედაქტორიც!

— რა არის საინტერსო?! გაკვირვებით ვეკითხები.

— რა და, სად დაწერა ილამ ახალ და ძველ თაობებზე?

— არ მახსოვს. - ვაღიარებ და ეროვნული ბიბლიოთეკის „მერაბ მამარდაშვილი ციფრულ კოლექციის“ სპეციალურ ქვეკოლექცია „აკადემიურ გამოცემებს, სიამაყით ვაკითხავ (წერისას ყოველთვის გახსნილი მაქვს, მარჯვენა ხელია ჩემი!). ილას წერილს „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ მარტივად ვპოულობ და მე და დედა ორ ხმაში კითხვას ვიწყებთ... მხოლოდ ვიწყებთ, რდგან... როგორც კი „ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელსაც სახელადა აქვს: „ხმა შორიდამ“ წავიკითხეთ დედამ კითხვა შეწყვიტა და...

— „ხმა შორიდამ“ იპოვი?

— „თქმა ძნელია, შესრულება ადვილი“ - მთელი სერიოზულობით ვპასუხობ, სტატიას ვპოულობ, ჯერ ავტორის ფსევდონიმს სანახევროდ ვშიფრავ, ლექსიკონი გვაქვს „ფსევდონიმების“ (დ. ხ. - ან დუტუ მეგრელი, იგივე დიმიტრი ხოშტარია, ან დიმიტრი ხატიაშვილი ან კიდევ, დავით ხიზანიშვილი) და დედასთან ერთად ვკითხულობ. განსაკუთრებით, ქვემოთ მოყვანილ აბზაცზე ვამახვილებთ ყურადღებას: „ დიაღ, ბატონო, ის კი არ არის გასაკვირველი, თუ ეხლანდელი ახალგაზდა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, არამედ ის, თუ რომელსამე მათგანს მარტო თავის ძალ - ღონით დაუძლევია ყველა ხელის შემშლელი გარემოება და კიდევ ახერხებს რისამე კეთებას. საკვირველია, რა მიგიციათ ახალგაზდობისათვის და რასა სთხოვთ? ერთი მიბრძანეთ, როდის აჩვენეთ გზა, რომელზედაც იმას უნდა ევლო, როდის უდექით მხარში და ამხნევებდით, როცა იგი ახალგაზდობა ებრძოდა აზვირთებულს, მასზედ მოსეულს ტალღებს, როდის აძლევდით იმედს უკეთესის მერმისისას? არა მიგიციათ-რა, ამაგი არა გაგიწევიათ-რა და, ბოდიშის მაგიერ, კიდევაც ზევიდამ დაჰყურებთ საბრალოს და ეუბნებით, არ ვარგიხარ, არ ვარგინარო. მერე ვისი ბრალია, რომ არ ვარგა?! საბრალომ თვითონაც იცის, რომ არ ვარგა და თქვენ კიდევ, შემწეობის მაგიერ, უარესად უხეთქავთ გულს.“

— გიო, — კიდერ ერთხელ წაიკითხე. - მთხოვს დედა. მე დედას თხოვნას ვუსრულებ... და ახლა, თქვენც იმავეს გთხოვთ, ჩემხელებსაც და ჩემზე უფროსებსაც.

— გავაგრძლოთ?

— არა, ილიას წერილი გავაგრძელოთ. — ამბობს დედა და ორივე „წერილებს“ ვუბრუნდებით. თუმც, ვიდრე „წერილებს“ დავუბრუნდები გამცნობთ, სწორედ ამ ნომერში გაგრძელდა ეგნატე ნინოშვილის „სიმონა“ (მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა) და გამოქვეყნდა მეტად საინტერესო სარეკლამო განცხადება, ოზურგეთსა და ოზურგეთელ ქალბატონს ეხება და ქშწკგ საზოგადოების წლიური კრების ანგარიში, სადაც, „ვიდრე საგნების განხილვას შეუდგებოდნენ, თავმჯდომარემ გამოუცხადა კრებას, საანგარიშო წლის განმავლობაში გარდაიცვალნენ — საპატიო წევრნი საზოგადოებისა დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი და გრიგოლ გურიელი, წევრნი დამფუძნებელნი: მიხეილ ყიფიანი, მამია გურიელი და ნამდვილი წევრი საზოგადიებისა ელენე ლორთქიფანიძისაო და სთხოვა საზოგადოებას, ფეხზე წამოდგომით - ეცათ პატივი გარდაცვალებულთათვის. კრება ფეხზე წამოდგა“.

— კარგი წერილი იყო გრიგოლ გურიელზე. — მეუბნება დედა და ვიდრე რამეს ვუპასუხებ, აგრძელებს — სოსო თავბერიძის შვილს კარგი საქმე გაუკეთებია. კრებულის შედგენით. მიდი გააგრძელე.

და მეც ვაგრძელებ. არა, ბუნებრივია, თავიდან ვიწყებ: ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი, რომელსაც სახელადა აქვს: „ხმა შორიდამ“* და რომელიც შეეხება ეგრედ წოდებულს „ახალს და ძველს თაობას“ ჩვენში. ჩვენ გვინდა ჩვენს მკითხველს


ქ. ოზურგეთში

ესმა გიორგის ასული ქიქოძე, რომელსაც ტფილისის სახელოსნო გამგეობისაგან თავის ხელობის რიგიანად ცოდნის შესახებ ატესტატი აქვს, მსურველთ ასწავლის ჭრა-კერვასა და ყოველსავე ხელობას, რაც-კი ქალის ტანისამოსის შეკერვას შეეხება. შეგირდებს იღებს სამის თთვის ვადით იმ პირობით, რომ ზემო თქმული ხელობა ამ ხნის განმავლობაში სრულიად დაისწავლოს. სასყიდლად სამისავე თთვისათვის მხოლოდ ოცს მანეთს სჯერდება.

ამასთანავე შესაძლოა ქალის ტანისამოსის შესაკერავად მასვე მიჰმართონ. ყოველსავე შეკვეთას ზომიერ ფასად და დროზე ასრულებს.

(6—1)

განვუზიაროთ ჩვენი აზრი ამ წერილის საგანზე, და ვიდრე ამას ავასრულებდეთ, საჭიროდ დავინახეთ მოკლე წინასიტყვაობისავით წარვუმძღვაროთ წინ შემდეგი.

*„არა ერთხელ ატეხილა ჩვენს ფეხმოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე. ზოგი მწერალი საყვედურს აძლევს ახალს თაობას, რატომ არას აკეთებო, ზოგი ძველს თაობას, რატომ არა გააკეთე რაო. იქნება ერთიც მართალი იყოს და მეორეც, ხოლო დღემდე კი არავის გამოურკვევია, რა არის და ვინ არის ან ახალი, ან ძველი თაობა, და არავინ იცის ვისზე ლაპარაკობენ, როცა ან ერთს, ან მეორეს ახსენებენ.*

*მართლადა, რა არის და ვინ არის ახალი ან ძველი თაობა? ამ სახელებქვეშ ვინ და რა უნდა ვიგულისხმოთ? აშკარაა, ვინც ამ სახელებს რაიმე ფასსა სდებს და თუთიყუშივით გაგონილს არ იმეორებს, ახალს თუ ძველს თაობას იმათში ეძებს, რომელნიც საზოგადო სარბიელზე გამოსულან სამოქმედოდ. უეჭველია, ეს სახელები უნდა ეკუთვნოდეს ამ ჯურის ხალხსა, იმიტომ რომ სხვა ყველა, თავის ცალკე ბუდეში კარჩაკეტილი, ამისთანა სახელების წინაშე არაფერს შუაშია. თუ ასეა და, ვგონებთ, უამისობა არც შეიძლება, მაშ სიახლეს და სიძველეს ერთისა თუ მეორის თაობისას აქ უნდა მოვუნახოთ საბუთი და საფუძველი.*

*ხოლო საკითხი ეს არის: რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ან ერთს მივუწყათ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშობა იქნება! ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეს იქნება საკადრისი ჭკვათამყოფელის მკვლე-ვარისათვის! მაშ სხვა რა ვიხერხოთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?...“,. აქ ცოტა ხანც ვისვენებთ, დედაზე უფრო მე... და ვაგრძელებ... ოღონდ რამდენიმე აბზაცის გამოტოვებით: „რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს თუ საქმეს ამყოლი, მოსარჩლე და მოძღვარი, ბერიცა ჰყავს და ერიც, ჭაბუკიც და მხცოვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელი და დღევანდელიც ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერ მიაკერებს რომელსამე აზრს თუ საქმეს ცხოვრებაში ასე თუ ისე მოარულს, თავისს სახელსა; პირიქით, თვითონ აზრი ან საქმე აკისრებს ხოლმე თავისს სახელს თავის ამყოლსა და გამძღოლსა...“.*

სულ ესაა დღეს! დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ გურულებო და გპირდებით ერთ მშვენიერი წიგნზე ვისაუბრებ მომავალ წერილში.

**გიო პილაძე**

დასაწყისი „ალიონი“ №20; 2024.

# №4 საბავშვო ბაღში მშობელთა საგანმანათლებლო კრების მუშაობა განახლდა



მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლებისა და ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ბავშვებთან ეფექტური მუშაობს ოჯახებთან პარტნიორული ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია ბავშვი ვითარდებოდეს ორივე გარემოში – ოჯახშიც და ბაღშიც.

წლის დასაწყისში მოეწყო შეხვედრა მშობლებთან. არჩეულ იქნა საკონსულტაციო საბჭო და საბჭოს ახალი თავმჯდომარე.

გასულ წელს ჩამოყალიბდა მშობელთა საგანმანათლებლო კლუბი, რომლის მიზანია მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება, ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების ჩართულობა, პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა.

ამ მიზნით მშობელთა საგანმანათლებლო კლუბის წევრებთან ერთად გაიმართა დისკუსია –,,გაესაუბრე ბავშვს" და ბაღში მოვიწვიეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი, სკოლამდელი აღზრდის ექსპერტი ქეთევან კვაჭანტირაძე. ასევე სასკოლო მზაობის აღმზრდელმა ლ. ქავთარაძემ ისაუბრა თემაზე: ,,როგორ მოვამზადოთ ბავშვი სკოლისათვის."

სკოლამდელი საჭიროების მქონე აღსაზრდელებზე და მის საჭიროებებზე მოკლე მიმოხილვა გააკეთა ,,ოზურგეთის სკოლამდელი აღზრდის" სპეციალისტმა სოსო კეკელიძემ.

# საზოგადოებრივი მაუწყებელი განცხადებას ავრცელებს

*ოფა, ბულინგი და მათი მისა-მართით სიძულვილის ენის გამოყენება.*

*მოვუწოდებთ ყველა მხარეს, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებს, ამ რთულ დროს შეინარჩუნონ პროფესიონალიზმი და პროფესიული სტანდარტი. შემაშფოთებელია დამოუკიდებელ მედიაზე დეზინფორმაციის საშუა-ლებით წნეხის განხორციელებისა და ჟურნალისტების დაშინების მცდელობა.*

*საზოგადოებრივი მაუწყებელი ეკუთვნის მთელ საზოგადოებას, არცერთ პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ჯგუფს არა აქვს მისი მონოპოლიზებისა და სხვებისთვის ჩაკეტვის უფლება.*

*აქ ჟღერდება სხვადასხვა იდეა და მოსაზრება, მათ შორის ისეთი, რომელიც, ცხადია, ყველასთვის მისაღები და მოსაწონი ვერ იქნება, რასაც გაგებით უნდა მოეკიდოს ყველა, ვინაიდან სწორედ ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლის დანიშნულება და ამის გამო საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების ბულინგი დაუშვებელია და ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესს აზიანებს. განსხვავებულ აზრსა და იდეას აზრითა და იდეით უნდა დაუპირისპირდნენ და არა ჟურნალისტების ღირსების შელახვით.*

*აქვე გვინდა, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ 13 იანვრიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი განაახლებს პრაიმტაიმის ეთერს და იგი, როგორც ყოველთვის, დაეთმობა ყველა, მათ შორის სხვადასხვა პოზიციაზე მყოფ მხარეებს აზრის გამოთქმისა და დისკუსიისთვის. შეძლებისდაგვარად ვეცდებით, დრო დავუთმოთ ყველა მნიშვნელოვან თემას პოზიციების დაახლოებისთვის და არა რადიკალიზაციის გასაღრმავებლად. – ვკითხულობთ განცხადებაში.*

**გამოიწერეთ გაზეთი**

**,,ალიონი"**

**6 თვით 16 ლარი;**

**1 წლით 32 ლარი**

# სკანვორდი



სპორტული ავტომობილი; საეკლესიო; ზოდიაქოს ნიშანი; მღელვარება; კუნძული; საეკლესიო ნივთი; ჭადრაკის ფიგურა; ზნეობა ანუ; ნავის სახეობა; არქტიკული ზღვის ცხოველი; კათოლიკე მღვდელი; ჭიდაობის სახეობა; მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; ისტორიული ძეგლი რომში; მმართველობის ფორმა; ვულკანის; საახალწლო სტუმარი; ბალახეული მცენარე; ფარაონი; ბრიტანული გამოცემა; ყირამალა; ტყუილი; გარეული ცხოველი; ტრადიციების შესწავლა

## პასუხები:

სურათზე: მაიკლ ჯორდანი; ისტორიული ძეგლი რომში კოლიზეუმი; სპორტული ავტომობილი ლამბორჯინი; მმართველობის ფორმა დემოკრატია; საეკლესიო კათედრა; საახალწლო სტუმარი მეკვლე; ვულკანის კრატერი; საეკლესიო ნივთი კანდელი; კუნძული მალდივი; მღელვარება ეიფორია; ზოდიაქოს ნიშანი ვერძი; ზნეობა ანუ მორალი; მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში იორი; ჭადრაკის ფიგურა ლაზიერი; ბრიტანული გამოცემა ვიკილიქსი; ბალახეული მცენარე ომბალო; ნავის სახეობა კანოე; გარეული ცხოველი ბიზონი; ჭიდაობის სახეობა სამბო; ტყუილი ფარსი; კათოლიკე მღვდელი პადრე; ზღვის ცხოველი სელაპი; ყირამალა სალტო; ფარაონი ტუტანჰამონი; ტრადიციების შესწავლა ეთნოგრაფია.

# წიგნის „საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

## მესამე წიგნისათვის




საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918) ბოლო პერიოდის (1900-1918) შესწავლა რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიას აღარ დასცალდა. სულ დოკუმენტებისა და მასალების რამდენიმე პუბლიკაცია და ორიოდე მონოგრაფია გამოიცა. 1900-1918 წლებით გარკვეული მიზეზების გამო სერიოზულად დაინტერესდა საბჭოთა (კომუნისტური) ისტორიოგრაფია.

**1. საბჭოთა (კომუნისტური) ისტორიოგრაფიის მიზნები**. „საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918)" პირველი და მეორე წიგნების ისტორიოგრაფიულ ნაწილში აღვნიშნეთ,რომ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა ისტორიოგრაფია, პოლიტიკური სისტემის ინტერესებიდან გამომდინარე, საგანგებოდ აყალბებდა საქართველოს ახალ ისტორიას (1801-1918). ისტორიული პროცესის ყოვლისმომცველ და ფართომასშტაბიან გაყალბებას ვერც საქართველოს ახალი ისტორიის ბოლო პერიოდი — 1900-1918 წლები — ასცდა. ამ შემთხვევაში საბჭოთა ისტორიოგრაფიას განსაკუთრებული მიზანი ამოძრავებდა. პოლიტიკური სისტემის სამსახურში მყოფ ისტორიკოსებს უნდა დაემტკიცებინათ ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ საბჭოთა რეჟიმისათვის იდეოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელი დებულება: **საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა, საბჭოთა საქართველო იყო ქართველი ერის, ქართველი მუშისა და გლეხის უდიდესი მონაპოვარი, ხოლო ამ მონაპოვრისათვის ბრძოლის უკანასკნელი და გადამწყვეტი ეტაპი 1900-1921 წლები გახლდათ.** ისტორიული პროცესის ამ დონეზე გაყალბება აუცილებელს ხდიდა:

1. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის,ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის გაყალბებას;

2. ეროვნული მოძრაობისა და მთელი ეროვნულ-პოლიტიკური ძალების სოციალური პროგრესის, სოციალიზმისათვის ბრძოლის შემაფერხებელ, ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო, რეაქციულ მოვლენად გამოცხადებას;

3. ეროვნული მოძრაობის წინამძღოლთა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა, ქართველი ავტოკეფალისტების „ნაციონალისტებად", „სეპარატისტებად" და „პროგრესის მტრებად" გამოცხადებას;

4. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების (სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-რევოლუციონერების, ანარქისტებისა და სხვ.) „წვრილბურჟუაზიულ", „ნაციონალისტურ" და „ანტიხალხურ" ძალად გამოცხადებას;

5. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ნაწილის,ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკების „ხალხის მტრებად", „ბურჟუაზიის აგენტებად" სახელდებას;

6. ქართველი ბოლშევიკების უძლიერეს და პროგრესისათვის მებრძოლ, ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად გამოცხადებას,ქართველი ბოლშევიკი ლიდერების განდიდებას;

7. სოციალიზმისათვის ბრძოლაში ძალმომრეობის,პოლიტიკური ოპონენტების დევნა-შევიწროების, რეპრესიებისა და სისხლისღვრის გამართლებას;

8. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის „სეპარატიზმად", „მუშათა და გლეხთა ინტერესების ღალატად", „სოციალიზმის იდეალების უარყოფად", „ბნელეთის ძალთა გამარჯვებად" წარონენას.

ყოველივე ზემოთ თქმული საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი იყო თუნდაც პოლიტიკური რეჟიმის აქტიური მხარდაჭერის პირობებში.

პოლიტიკური რეჟიმის მიერ ისტორიული პროცესის გაყალბება სახელმწიფო პოლიტიკის საგნად იქცა.

**2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზება.** საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შორის, რომელთაც მოღვაწეობა 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაიწყეს, პროფესიონალი ისტორიკოსები თითქმის არ იყვნენ. 1921 წლიდან საქართველოში ისტორიის წერას შეუდგნენ სათანადო განათლების არმქონე შემთხვევითი ადამიანები, ძირითადად რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი, ბოლშევიკური (კომუნისტური) იდეოლოგიის ერთგული მსახურნი.

საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიის გაყალბებას იმთავითვე დიდი ყურადღება დაუთმო, რაც სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შექმნაშიც გამოიხატა. 1918 წელს გაიხსნა **სოციალისტური აკადემია,** 1920 წელს — **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის კომისია (პარტისი),** 1921 წელს — **კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ინსტიტუტი.** 1921 წელს აუცილებელი კადრების მომზადების მიზნით შეიქმნა **წითელი პროფესურის ინსტიტუტი,** რომლის მსმენელებად მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული, ხშირად მხოლოდ დაწყებითი განათლების მქონე ადამიანები ირიცხებოდნენ. 1928 წელს დაარსდა **საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კო-მიტეტთან არსებული ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი,** რომლის შემადგენლობაში შევიდა ზემოთ ხსენებული პარტისი. 1931 წელს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ინსტიტუტი და ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი გაერთიანდა ერთ დაწესებულებად, — **საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტად.** საბჭოთა საქართველო იმავე გზით მიდიოდა. 1922 წელს შეიქმნა **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან** არსებული **პარტისი**. პარტისი სცემდა ჟურნალს „რევოლუციის მატიანე".

**3. წყაროთმცოდნეობ-ითი ბაზა.** საქართველოს პარტისმა შეკრიბა მეტყარული მასალა, არქივებში მოიძია დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ახალშექმნილ **რევოლუციის მუზეუმში** ინახებოდა. მთელი ეს მუშაობა ისევ ისტორიის გაყალბებას ემსახურებოდა: 1. დღის სინათლე ვერ იხილა რამდენიმე ასეულ ტომად შეკრებილმა იმ მეტყარულმა მასალამ, რომელიც ისტორიული პროცესის ობიექტურად ასახვისათვის გამოდგებოდა. ეს ლიტერატურა 70 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ იყო დაცული არქივებში. სამაგიეროდ, დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა ისეთი მეტყარული დოკუმენტაცია, რომელიც სუბიექტური ხედვით ხასიათდებოდა და ისტორიული პროცესის მხოლოდ გაყალბების საფუძველი ხდებოდა. 2. არქივებში დოკუმენტებსა და მასა-ლებს დიდი სიფრთხილით არჩევდნენ. პოლიტიკური რეჟიმისათვის მიუღებელი დოკუმენტები და მასალები არ ქვეყნდებოდა, ისინი საიმედოდ ინახებოდა არქივების სპეცფონდებში.

არსებობის 70 წლის განმავლობაში ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ 1900-1918 წლების შესახებ დოკუმენტებისა და მასალების ვერცერთი სერიოზული პუბლიკაცია ვერ განახორციელა. უამრავ გამოცემას შორის გარკვეული ღირებულება გააჩნია სულ ორიოდე წიგნს.1 არქივებში დოკუმენტებისა და მასალების შერჩევა ხდებოდა ისე, რომ წარმოჩენილიყო ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიის როლი და ბოლშევიკი ლიდერების დამსახურება, სხვა ყველაფერი დავიწყებას უნდა მისცემოდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა, მაგალითად, 1958 წელს განხორციელებული დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაცია. ამ თვალსაზრისით ერთადერთ სანდო და ობიექტურ გამოცემად უნდა მივიჩნიოთ 1919 წელს საქართველოს დემოკრატ-იული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცემული კრებული.. გაყალბებულმა წყაროთმცოდნეობითმა ბაზამ შესაძლებელი გახადა ისტორიული პროცესის გამრუდება. პოლიტიკური რეჟიმი სულ უფრო აქტიურად ერეოდა ისტორიკოსთა საქმიანობაში და უფრო და უფრო მეტი სიყალბის დაკანონებას მოითხოვდა.

**4. ისტორიოგრაფია.** XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის შესწავლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **არჩილ ჯორჯაძისა** და **ნოე ჟორდანიას** პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. ამ ორი მოღვაწის წერილები და სტატიები,რომლებიც ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა, გვეხმარება ობიექტურად დავინახოთ და ავხსნათ იმდროინდელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები. უნდა აღინიშნოს,რომ არჩილ ჯორჯაძისა და ნოე ჟორდანიას ნაწერები გარკვეული ტენდენციურობითაც ხასიათდება, თუმცა ეს სულაც არ ამცირებს მათ მნიშვნელობას. საქართველოს ახალი ისტორიის ბოლო პერიოდის (1900-1918) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესების გაყალბების საძრახისი საქმე თავს იდეს **ფილიპე მახარაძემ** და **გიორგი ხაჭაპურიძემ.** გაყალბების მასშტაბები იმდენად დიდი და ყოვლისმომცველი იყო, რომ ისტორიული ჭეშმარიტება საერთოდ მიიჩქმალა, განაქიქეს, შეურაცხყვეს ქართველი ერის დიდი მოღვაწენი, შექმნეს ცრუგმირების გალერეა.

ფილიპე მახარაძისა და გიორგი ხაჭაპურიძის დაწყებული „საგმირო საქმეები" გააგრძელეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე აღზრდილმა მომდევნო თაობების ისტორიკოსებმა: **იასონ ხუციშვილმა, ნიკოლოზ მახარაძემ, აკაკი სურგულაძემ, იური კაჭარავამ, გრიგოლ ჟვანიამ, ლევან ებანოიძემ, სანდრო ჩხარტიშვილმა, მიხეილ ცერცვაძემ, მამია ჯიჯეიშვილმა** და სხვებმა. ხოლო შემდეგ — მათ მიერ ხელდასხმულმა ახალგაზრდა ისტორიკოსებმა. კონვეიერული წესით იწერებოდა და იცვებოდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, იცემოდა უამრავი წიგნი და თითქოს იმედიც აღარ რჩებოდა, რომ ოდესმე ისტორიული ჭეშმარიტება აღდგებოდა. ეს აზრი განსაკუთრებით განმტკიცდა ისტორიკოსთა დიდი კოლექტივის მიერ დაწერილი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომების გამოსვლის შემდეგ.

დღეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის დაწვრილებით განხილვასა და შეფასებას აზრი არ აქვს, ყველაფერი ისედაც ნათელია. ესეც რომ არ იყოს, წარმოუდგენელია რამდენიმე ასეული სტატიისა და წიგნის ცალ-ცალკე განხილვა და შეფასება. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ გამოცემაზე — „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის VI ტომზე. ტომი 1900-1921 წლებს მოიცავს და მისი რედაქტორი **აკაკი სურგულაძეა.** თუ არ ჩავთვლით თითქმის რვაასგვერდიანი ნაშრომის ზოგიერთ პარაგრაფს, რომელთა ავტორად გრიგოლ მარგიანი გვევლინება,ეს წიგნი ისტორიული პროცესის ტოტალური გაყალბების ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს შემდეგი გარემოებანი:

1. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VI ტომი უმეტეს შემთხვევაში ემყარება საბჭოთა ისტორიკოსების მიერ XX საუკუნის 20-30-იან წლებში შექმნილ წყაროთმცოდნეობით ბაზას. არ მომხდარა არქივებში დაცული იმ დოკუმენტებისა და მასალების მოძიება და ანალიზი, რომლებსაც საგანგებოდ მალავდა პოლიტიკური რეჟიმი. ის მასალაც კი არ შემოსულა სამეცნიერო მიმოქცევაში, რომლის პუბლიკაციასაც საბჭოთა ცენზურა უკვე აღარ კრძალავდა. როგორც ჩანს, ავტორებმა თავი დაიზღვიეს, ზედმეტ გართულებებს მოერიდნენ და უკვე გამოქვეყნებულ, ე. ი. პოლიტიკური რეჟიმისათვის მისაღებ დოკუმენტებსა და მასალებს დაეყრდნენ. ამოქმედდა თვითცენზურის ინსტინქტი, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიას მუდამ ახასიათებდა. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: არქივებში დაცული ახალი საარქივო დოკუმენტებისა და მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა სააშკარაოზე გამოიტანდა ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების, მათ შორის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VI ტომის ავტორთა, მიერ ისტორიული პროცესის გაყალბების საძრახ საქმეს;

2. ისტორიული პროცესი ძირითადად, მცირე გამონაკლისის გარდა, ფილიპე მახარაძისა და გიორგი ხაჭაპურიძის მიერ XX საუკუნის 20-30-იან წლებში შემუშავებული სქემების საფუძველზეა გააზრებული; 3. განსაკუთრებით უხეშადაა გაყალბებული: ა) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და პოლიტიკური აზრის ისტორია; ბ) პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ისტორია; გ) პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლა მხოლოდ ბოლშევიკთა მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული; დ) მთლიანადაა გაყალბებული ეროვნული მოძრაობის მიზნები და ამ მიზნებისათვის ბრძოლის ისტორია; ე) 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ისტორიის გადმოცემისას, აშკარა სიყალბესთან ერთად, იგრძნობა იმ ეპოქის პოლიტიკურ მოღვაწეთა აბუჩად აგდებისა და მათ მიმართ ცინიკური დამოკიდებულების გამომჟღავნების სურვილი.

მონოგრაფიებსა და ნარკვევებში დამკვიდრებულმა სიყალბემ გადაინაცვლა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებშიც. ამ ტენდენციამ თავი იჩინა **ნიკო ბერძენიშვილის, ვარლამ დონდუას, მამია დუმბაძის, იური კაჭარავას, გიორგი მელიქიშვილის, შოთა მესხიასა და პროკოფი რატიანის** ავტორობით 1958 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში, რომელიც საშუალო სკოლის VII-X კლასებისათვის იყო განკუთვნილი. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე), რომლის ავტორები არიან **ნიკო ბერძენიშვილი, ვარლამ დონდუა, გიორგი მელიქიშვილი და შოთა მესხია,** დაწერილია **ივანე ჯავახიშვილის** სკოლის მიღწევებზე დაყრდნობით, ხოლო მეორე, 1801-1918 წლების ისტორია, არსებითად გაყალბებულია. იგივე ითქმის **პროკოფი რატიანის, აბელ კიკვიძის, იური კაჭარავასა** და **აკაკი სურგულაძის** ავტორობით 1962 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაზე" (ტ. II) ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა 1960 წელს **იური კაჭარავას, ნიკოლოზ მახარაძის, ნიკოლოზ სტურუასა და აკაკი სურგულაძის** „საქართველოს ისტორიასა" (ტ. III) და 1968 წელს გამოცემულ **ლუკა ცინცაძის, ილია მახარაძისა** და **მიხეილ ცერცვაძის** „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში . სამწუხაროა, რომ ნაყალბევი ისტორია რუსულ ენაზეც იბეჭდებოდა. 1968 წელს რუსულად გამოიცა **იური კაჭარავას, ნიკოლოზ მახარაძის, ნიკოლოზ სტურუას, აკაკი სურგულაძის, ცეცილია კალანდაძის, მირონ ქორჩაშვილის, მაყვალა ნათმელაძისა და სანდრო ჩხარტიშვილის** „საქართველოს ისტორია" . საბჭოთა სისტემის რღვევის პერიოდსა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაღვაწის კრიტიკული შეფასება. მოძიე-ბული და გამოქვეყნებული იქნა საინტერესო საარქივო მასალა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ემიგრანტული ლიტერატურა, დაიწერა უამრავი სტატია და წიგნი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემული ნაშრომების ნაწილი დაწერილია ნაჩქარევად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი გაშუქებულია ზერელედ და, რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა, აშკარად იგრძნობა საბჭოთა იისტორიოგრაფიის მანკიერი ტრადიციის გავლენა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მომხდარი ძვრები აისახა საშუალო სკოლისა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზეც. 2000 წელს გამოიცა **მერაბ ვაჩნაძისა** და **ვახტანგ გურულის** საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო IX კლასისათვის. 2001 წელს ამ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა გამოვიდა, 2002 წელს — მესამე, ყოველ მომდევნო წელს ახალი გამოცემა გამოდიოდა, ასე რომ, 2005 წელს უკვე მეექვსე გამოცემა დაიბეჭდა. 2002 წელს გამოიცა **მერაბ ვაჩნაძისა** და **ვახტანგ გურულის** საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო XI კლასისათვის. 2003 წელს სახელმძღვანელო მეორედ გამოიცა, 2004 წელს — მესამედ, 2006 წელს — მეოთხედ. აღნიშნული სახელმძღვანელოები 2003 წელს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც დაიბეჭდა.

სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნამ საფუძველი მოუმზადა საუნივერსიტეტო კურსის გამოცემას. 2003 წელს **ვახტანგ გურულის** თანაავტორობითა და რედაქციით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ გამოსცა საქართველოს XX საუკუნის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო . 2004 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ პროფესორ **ვახტანგ გურულის** თანაავტორობითა და რედაქციით გამოსცა საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. 2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ აკადემიკოს **როინ მეტრეველის** თანაავტორობითა და რედაქციით გამოსცა ქართული დიპლომატიის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომლის XI თავი XX საუკუნის ისტორიას ეძღვნება. ახალი ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ: **ლევან თოიძე, გურამ შარაძე, სერგო ვარდოსანიძე, მალხაზ მაცაბერიძე, დიმიტრი შველიძე, ზურაბ პაპასკირი, ჯემალ გამახარია, შოთა ვადაჭკორია, მერაბ ვაჩნაძე, გელა საითიძე, მალხაზ სიორიძე, ბეჟან ხორავა, ირაკლი გელენავა, ოთარ ჯანელიძე, გურამ მარხულია, გვანცა ბურდული, მაკა კვარაცხელია, ჯემალ კარალიძე, ლატავრა ბუკია, ბექა კობახიძე,** ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ინგლისელი ისტორიკოსი **სტივენ ჯონსი** და სხვები. წიგნზე მუშაობისას გამოვიყ-ენეთ საარქივო დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციები, რომელთა გამოსაცემად მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს: **ნ. ბადრიაშვილმა, ა. იოვიძემ, ს. მაღლაკელიძემ, შ. ჩხეტიამ, შ. ცაგარეიშვილმა** და სხვებმა. ამ პუბლიკაციებში პირველად იხილა დღის სინათლე უაღრესად მნიშვნელოვანმა დოკუმენტებმა საქართველოსა და რუსეთის არქივებიდან.

**ვახტანგ გურული**

„საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი IV. გვ. 21-25



შობა-ახალი წლის შემობრძანებას ვულოცავ სრულიად საქართველოს მოსახლეობას, ჯანდაცვის სფეროს ყველა მუშაკს, ვუსურვებ წარმატებას მათ პროფესიულ საქმიანობაში.

ღმერთი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას.

**ილო დოლიძე,**
ქირურგი, რაბიოლოგი



მაქვს პატივი განათლების სფეროს წარმომადგენლების სახელით სულითა და გულით მივულოცო შობა-ახალი წელი ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, პედაგოგს, მოსწავლეს. მინდა განსაკუთრებული წარმატებები ვუსურვო მათ.

**ლელა საჯაია,**
ქ. ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის დირექტორი.



გილოცავთ შობა-კალანდას! მშვიდობის, სიხარულისა და ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისათვის!

**პავლე ჭყონია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი



გილოცავთ შობა-კალანდას! მრავალს დაესწარით, ფუძე ძელი დაგელოცოთ. უფლის წყალობა, სიყვარული და სიხარული გქონოდეთ.

**გია ჩაგანავა,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი



















| 13 იანვარი<br>ორშაბათი | 14 იანვარი<br>სამშაბათი | 15 იანვარი<br>ოთხშაბათი | 16 იანვარი<br>ხუთშაბათი | 17 იანვარი<br>პარასკევი | 18 იანვარი<br>შაბათი | 19 იანვარი<br>კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +6+15 | წვიმა 0+8 | ღრუბელი 0+7 | მზე, ღრუბელი +1+6 | წვიმა 0+2 | წვიმა, +1+3 | მზე, ღრუბელი +4+5 |